

თავი II - სიცოცხლის დაზღვევის არსებითი პირობები

1. **სიცოცხლის დაზღვევა განხორციელდება შემდეგი წესით:**
 2. დაზღვეულის ასაკი დაზღვევის მომენტისთვის არ უნდა იყოს 18 წელზე ნაკლები.
 3. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი განეკუთვნება 18 წელზე ზემოთ ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად სადაზღვევო თანხა ნაკლებია ან ტოლია 100,000.00 (ასი ათასი) აშშ დოლარისა, მზღვეველის მიერ მსესხებლის გარდაცვალების რისკზე დაზღვევა განხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.
 4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი განეკუთვნება 18 წელზე ზემოთ ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად სადაზღვევო თანხა მეტია 100,000.00 (ასი ათასი) აშშ დოლარზე, მზღვეველის მიერ მსესხებლის გარდაცვალების რისკზე დაზღვევა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მზღვეველთან წარმოდგენილი იქნება მსესხებლის მიერ შევსებული განაცხადი, და ასევე, ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი (მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტაცია), რაც ხელს შეუწყობს მზღვეველს დაადგინოს მსესხებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მზღვეველის მიერ დამატებით შესაძლებელია მოტხოვნილ იქნას კონკრეტული სამედიცინო კვლევების ჩატარება.
 5. **სადაზღვევო დაფარვის, მომსახურების მიღებისა და ანაზღაურების გაცემის პირობები**
 - 5.1 **სიცოცხლის დაზღვევა** – ითვალისწინებს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მსესხებლის ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების გარდა) მოსარგებლისათვის ფიქსირებული სადაზღვევო თანხის გადახდას (სადაზღვევო თანხა არ უნდა მოიცავდეს სესხზე დარიცხულ პროცენტს, ჯარიმას და/ან პირგასამტეხლოს და მზღვეველი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ასეთი თანხები). დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად.
 - 5.2 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლე ვალდებულია, დაუკავშირდეს 24 (ოცდაოთხი) საათიან ქოლ ცენტრს და შეტყობინება გააკეთოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ არაუმეტეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა. ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტებით:
 - 1.2.1. დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა (რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაზღვეულის დაბადების და გარდაცვალების თარიღი, ასევე გარდაცვალების ადგილი და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ინფორმაცია);
 - 1.2.2. სამედიცინო ცნობა დაზღვეულის გარდაცვალების (სიკვდილის) შესახებ;
 - 1.2.3. შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა მომხდარის შესახებ; ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღმრულია სისხლის სამართლის საქმე – მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);
 - 1.3. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადგენს დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზს, თუ დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია არა უბედური შემთხვევით; უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისას ასეთი დოკუმენტის წარმოდგენა ერთმნიშვნელოვნად სავალდებულოა;
 - 1.4. კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, **მზღვეველი** უფლებამოსილია, მოითხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.
 - 1.5. ანაზღაურება გაიცემა ყველა ზემოხსენებული დოკუმენტების მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.
 - 1.6. შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა და უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
2. **გამონაკლისები**
 - 2.1 **დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება სიცოცხლის დაზღვევით გათვალისწინებული გარდაცვალების შემდეგი შემთხვევები:**

- 2.1.1. თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის ალკოჰოლური/ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან თუ მსესხებელი შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- 2.1.2. თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;
- 2.1.3. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების მიღებით;
- 2.1.4. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამგვარის მცდელობისა;
- 2.1.5. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდების, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ეს ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;
- 2.1.6. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის შიდსით დაავადების ან აივ-ით ინფიცირების;
- 2.1.7. თუ დაზღვევამდე დიაგნოსტირებულია რაიმე დაავადება (მათ შორის: ცე ჰეპატიტი, თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობა, დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე, სისტემური დაავადება), რომელიც გვევლინება გარდაცვალების მიზეზად;
- 2.1.8. დაზღვევა არ ვრცელდება პირებზე:
 - 2.1.8.1. რომელთაც დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტში უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა ან რომელნიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ანუ სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.
 - 2.1.8.2. როდესაც გარდაცვალების მიზეზი უცნობია.
 - 2.1.8.3. ომის ან ომის მსგავსი ოპერაციების დროს (გამოცხადებული და გამოუცხადებელი ომი),
 - 2.1.8.4. ტერორისტული აქტების, მათ შორის, შეიარაღების გამოყენება, რაიმე სახის ასაფეთქებელი ან ბირთვული ხელსაწყოების აფეთქება, რაიმე მყარი, თხევადი ან აირიანი ქიმიური აგენტის ან/და ბიოლოგიური აგენტის ემისია, გამოყოფა, გაფრქვევა, გაშვება ან გაჟონვა, მათ შორის, ჰაერის ან მიწოდებული წყლის ან სურსათის მოწამვლა და შენობების და სატრანსპორტო საშუალებების განზრახ განადგურება. გამონაკლისი ვრცელდება ნებისმიერ ქმედებაზე, რომელიც განხორციელებულია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელის შეშლის, ჩახშობის მიზნით, ან ასეთ აქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებზე.
 - 2.1.8.5. აქტიური მონაწილეობა ომში ან ომის მსგავს ოპერაციებში.
 - 2.1.8.6. *მაიონიზებული რადიაციით* ან ბირთვული საწვავის რადიაციით ან ბირთვული საწვავის აალების შედეგად გამოყოფილი ბირთვული ნარჩენების ან ნებისმიერი ფეთქებადი ბირთვული მოწყობილობის ან ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიური, მომწამვლელი, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო თვისებების შედეგად დაზიანდობა.
 - 2.1.8.7. ნებისმიერი ზარალი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია გამოძალვით, გატაცებით და გამოსასყიდის გადახდით ან დაზღვეულის უკანონოდ დაკავებით ან ნებისმიერი საჰაერო ხომალდის, ავტომობილის, მატარებლის ან გემის გატაცებით, რომლითაც მგზავრობს დაზღვეული.
 - 2.1.8.8. დაზღვეული პირის მონაწილეობა პროფესიონალურ, ექსტემალურ, ან/და რისკის შემცველ სპორტის სახეობებში (კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია, აერონავტიკა, პარაშუტით ხტომა, პარაგლაიდინგი, ჯომარდობა, წყალში ხტომა, ყვინთვა ან ცურვა სასუნთქი მოწყობილობით, დოდი, სპორტული რბოლა სწრაფი კატერებით, მანქანებით ან სხვა ძრავიანი საშუალებით, საბრძოლო ხელოვნება), როდესაც მონაწილეობა აღნიშნულ სახეობებში იწვევს დაზღვეული მოვლენის ხდომილებას.
 - 2.1.8.9. კონკრეტული მსესხებლის დაზღვევიდან პირველი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში დამდგარი/დიაგნოსტირებული კრიტიკული მდგომარეობებით/დაავადებებით გამოწვეული გარდაცვალება (მიუხედავად გარდაცვალების თარიღისა).

3. სიცოცხლის დაზღვევის დაფარვის შეწყვეტა

- 3.1. მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევის დაფარვა შეწყდება:

განკუთვნილია მხოლოდ სს „ბაზისბანკი“-ს მსესხებლებისთვის

- კონკრეტული სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას;
- მას შემდეგ, რაც მსესხებელს შეუსრულდა 70 წელი;
- მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის სრულად დაფარვა;
- თუ დამზღვევი აღარ იხდის პრემიას;
- მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში.

დაფარვის შეწყვეტის შემდეგ, მისი აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მზღვეველის თანხმობის საფუძველზე.